



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №7  
2017 წლის 31 იანვარი  
მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის (№07/2/508. 12.01.2017წ.) მომართვის საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში, კერძოდ:

1.1. შეტანილ იქნას ცვლილება განკარგულების პირველი პუნქტის „1.42.“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.42“ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში მდებარე 424 მ<sup>2</sup> არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ №72.06.12.814;

1.2. განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს „1.43“ და „1.44“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.43 “ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატახტარში მდებარე 420 მ<sup>2</sup> არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ №72.03.30.343;

„1.44 “ ავტობუსი „PAZ – 672M“ სახელმწიფო ნომერით YY684YV გამოშვების წელი - 1998.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოდაშვილი